



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 52

2014 წლის 1 აგვისტო

ქ.დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიმართ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამფუძნებლის უფლებამოსილებების განსახორციელებლად, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 ნაწილების და ამვე კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, განახორციელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებული დამფუძნებლის უფლებამოსილებები, დუშეთის მუნიციპალიტეტის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიმართ.

2. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი